


გაზეთის ფასი:

გაზეთის, გუბერნიალად

ერთი წლისა	— 6 მან.	კაპ.	5 მან.	კაპ.
ნახევრის წლისა	3 »	»	2 »	»
ხაზი თვისა	— 1 »	75	1 »	50
ერთი თვისა	— »	60	»	50
ცალკე ნომრის	— »	12	»	40

განცხადებაები, «დროებაში» დასაბუჯდით, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.



# დროება

საბოლოო და სალიტერატურო გაზეთი

ქვეყნის მკვირვარი

სქელის-მწერის

მიიღება თფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხსტამასში, ბებუთაძის სახლში).

ქუთაისში: გუბერნიალად და სხვა ადგილებში (სახელმწიფო სასწავლებლებში).  
გარეშე მისაღებად შეიძლება ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნა: Времени. В контору редакциі газеты «ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетели.

გამოდის კვირისი ერთხელ, შარსკვირით.

მამაცაქალაქი 1873 წელს

«დროება»

გამოცემა თვის ძველებური პროგრამისა და მიმართულების შეუცვლელად, და იმავე თანამშრომლების დახმარებით, რომელნიც წარსულ წლებში იღებდნენ გაზეთში მონაწილეობას.

სქელის-მწერის

მიიღება — თფილისში — «დროების» რედაქციის განცხადებაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთაძის სახლში, სადაც დუბილერის (გ. წერეთლის და კაპ) სტამბა იმყოფება. ქუთაისში — გუბერნიალად და სხვა ადგილებში (სახელმწიფო სასწავლებლებში).  
სიღნაღს — რაჭვანდის რედაქციის, თელავს — დ. კ. ჯანაშიას, ყვარულს და ლაგოდეხს — ა. მარჯანიშვილის, ახალ-სეხახს — ი. კ. დგობუაძის, თანს — კ. კლდიაშვილის, ფათს — ა. რ. უფლაძის, ყვირილას — დ. დამბაშიძის, სონს — გ. ჩიქოვანის და ალექსანდრეპოლის — მ. დიმიტოვის. ლაგოდეხის რედაქციის დასახელებითაა აგრეთვე შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაბარება: Времени. В редакциі газеты «ВРЕМЯ»

სქელის-მწერის ფასი

გაზეთის ფასი

	სქელის-მწერის		გაზეთის ფასი	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ერთი წლისა	—	—	6	5
ნახევრის წლისა	—	—	3	2
სამის თვისა	—	—	1	75
ერთი თვისა	—	—	»	60

ახალ ხელის-მომწერებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთადრესი გარკვევით დაწერილი გამოცხადებები და აგრეთვე შეგვაცუბინონ ყოველთვის, როდესაც სასწავლებელად გინდათ გამოიცვლიან.  
ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერის ხელდრე ფული გაზეთის დაბარების-თანავე გამოგვიგზავნონ.

შინაარსი:

რედაქციის განცხადებები

რედაქციის განცხადებანი — ხაქათოვი — გუბერნიალად და სხვა — წერილი ამბები — «დროების» კორრესპონდენცია: სამეგრელო — მოგზაურობა ფოთი-თფილისის რკინის გზით — უსკეთი: წერილი ამბები — უცხო ქვეყნები: სფრანგეთი — ზანაილად (დროების კორრესპონდენცია) — ესპანია. — ლიტერატურული გამოცხადებანი — ნარკვი. ფელტონი — სწავლა ბანკი — სკანდელიანი.

ბედნიერი დღეების გამო, ეს ნომერი თვის დროზე ვერ გამოდის.  
უმორჩილესად ვთხოვთ იმ შარშანდელ ხელის-მომწერებს, რომელთაც გაზეთის ფული ვერაღ არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.

ზოგიერთი ხელის-მომწერები ვთხოვენ, რომ ვაცნობოთ, მივიღებ ჩვენ იმათგან გაზეთის ხელ-მოსწერი ფული, თუ არა. ერთხელ და საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ რედაქციის ვერ შეუძლია ამგვარი თხოვნა ასრულოს და საჭიროთაც არა რაცხს, რადგან ფულების რედაქციაში მიღება იმით გამოჩნდება, რომ ფულების გამოგზავნი თვის დროზე დაბარებულ გაზეთს მიიღებს.

«კრებული» 1873 წელს

ამჟამის «კრებული» თე-თავის დროზედ არ გამოდის; იმისი რედაქცია და თანამშრომლობა, პატენსადები მიზეზების გამო, თითქმის უფრო ხშირად ერთ კაცზედ იყო მიგდებული; საბეჭდავი მასალებიც თვის დროზედ არა ჰქონია რედაქციას. ესლა საქმე გამოიცვალა. რამდენიმე ღირსეულმა ჩვენი ლაბირი ლიტერატურისათვის მიწერალო მოგვცა სტატიები და შემდეგისათვისაც ალგვიტენილადაგი თანამშრომლობა. საბეჭდავი მასალებიც მთელი წლისათვის დამზადებულია. რედაქციის დიდი იმედი აქვს, რომ მკითხველებს თე-თავის დროზედ რიგანი წიგნები გაუზიანოს. ამიტომაც რედაქცია აცხადებს ხელის, მოწერის მიღებას.  
«კრებულის» შინაარსი ამ წელს უნდა შეიცვალოს: რედაქციის სურს, რომ ხელოვნების ნაწარმოებს გარდა, ჟურნალის საზოგადოებრივ მხარესაც შეძლებისამებრი ყურადღება მიაქციოს და გააგრძელოს თანამედროვე ისტორიის, კრიტიკის და საზოგადოებრივი მიზნების ნაწილები.

ამ იანვრიდამ დაწყებული «კრებულის» სარედაქციო შრომაში მონაწილეობას მიიღებს უფ. კირ. ლორთქიფანიძე. ჟურნალის მუდამი თანამშრომლობა იკისრეს უფ. სკანდელიანი, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძემ. ამას გარდა დრო-დროთი თანამშრომლობა აღგვიტყვის: უფ. დ. ერისთავი, რ. ერისთავი, ს. მესხია, პეტრიძე, ფაშელა, დ. ყაზბეგმა, ნ. ცხეველიძემ, ქალაღიღელმა, ბ. ჯაფარიძემ და სხვა ახალ გაზდა მწერლებმა.

ამ ჟამად რედაქციის ხელშია: ილია ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის რამდენიმე მოთხრობა და ლექსი, გ. წერეთლის მოთხრობა და ისტორიული სურათები და მასალები და სკანდელის კრიტიკული სტატიები.  
ამას გარდა, რედაქციამ იზოგა დასაბეჭდად ნ. ბარათაშვილის ლექსები და იმისი მიწერ-მოწერა, რომელიც ძვირფასო ჩუყენი ლიტერატურის ისტორიისათვის.  
ამ წლის პირველი წიგნი გამოცემა იანვრის დასაწყისში გამოდის და დაწყებული «კრებულის» წიგნები გამოცემა თვის-და-თვის თავზედ.

სქელის-მწერის შინაარსი:  
«კრებული» ელირება:  
გაორჯინელთა გაგზავნიით.  
ერთი წლით — 5 მან. 6 »  
ნახევარი წლით — 2.50. 3 »  
თითო წიგნი — » 50 » 60  
«დროება» და «კრებული» ერთთ ელირება ერთი წლით 9 მანეთი და ნახევარი წლით 5 მანეთი.  
სქელის-მწერის მიიღება:  
თფილისში. «კრებულის» ან «დრო-

## ფელტონი

სწავლა ბანკი

ეთქვათ — ახალ წელიწად-დღეს არაკით ლაპარაკი მიღებულია — ეთქვათ მოვიდა მენთან, მკითხველო, ოთხიოდე შენი ნაცნობი და ვთხოვა ერთი წყვილი წაღ შეგვიკერეო. რას ეტყვი შენ ამ ნაცნობს? დაფიქრდები დიდხანს, სანამ ამ სიტყვებს ეტყვი:  
— ძმობილო, მამა არ მყოლია ხარაზი და შე თვითონაც, წაღის კერა კი არა, დაკერებაც არ მისწავლია; თუ ხეირიანი წაღა გინდა, წაღი და ხარაზს შეუტყვეთ.  
ხომ ამას ეტყვი იმ ახირებულ ნაცნობებს და ხომ შენს დღეში აზრათაც არ გაგივლებს თავში ამ ნაირი შრომის კისრობა, თუ მართლა და ნამდვილათ ხარაზის ხელობა ზედმიწევნით არ გისწავლია?  
— ხარაზობა იქით იყო, ქულის ან ტანისამოსის შეკერვა რომ ვთხოვს ვინმე, ხან მიწის დაბარება, ან ჭის მოთხრა, ან — თუნდ — ცეცხვა, ხომ ყოველთვის ერთნაირი პასუხი და ახირი გეცნება — არ მისწავლია, ძმობ, არ ვიცი, ვერ ვიკისრებო?

ხომ, როგორც შენ თვითონ თავიდან იცილებ იმ გვარ შრომას, რომლისთვისაც მომზადებული არა ხარ, სხვაშიაც დასძრანამ თერძობას, თუ თერძი არ არის, ან ღურგლობას, თუ ღურგლობა არ უსწავლია?  
—  
მამ ეხლა ეს მითხარი, თუკი ჩვენში არავინ არც ხარაზობას, არც ღურგლობას, არც თერძობას იკისრებს, თუ ეს ხელობა არ იცის და არ უსწავლია, რითი აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ ყოველთვის, როცა კაცი მოგანდობს შენ ათასჯერ უფრო ძნელ შრომას, საქმეს, ჯავას, შენ სუბუქი გულით და დამხედველი სინდისით ამ შრომას და საქმეს კისრულობ, მისი ასრულების მოვალე ხდები, და იმას კი არაოდეს კითხულობ, თუ რა საქმე და რა შრომა მოგერდო, იცი მისი ასაეღ-დასაეღო, მისი გარემოება, მისი ხასიათი, და შეგეძლება მისი არა თუ ასრულება, გავება, გამოკვლევა და დაფასება?  
რით და როგორ აეხსნათ ის გარემოება, მაგალითად, რომ წაღის შეკერვის უარის მყოფელი კაცი კისრულობს, ეთქვათ, ბანკის დაბარებას, ან მთელი საზოგადოების, მთელი მხრის და ხალხის ბედის გაწყობას?

ერთი დრო იყო, როცა ჩვენში არც ბანკზე იყო ლაპარაკი, არც ერობაზე, არც სასწავლებელზე. იჯდა მეტატონე თვის ოღაში, ჰკრეფდა ბეგრას, სვამდა, სკამდა, და ხან-დისხან, გასართობათ, ან ნადირობდა, ან ქალაქში ჩამოდიოდა მთავრობის დასანახავათ და თვის თვის გამოაჩენათ. იმ დროს ამ ბედნიერ მეტატონეს საქმეთ მარტო ის მიჩანდა, როცა თფილისში ნაყოფი გლეხი იმას თვისუფლების ძიებას დაუწყებდა, ან მეზობელი ორიოდე ქცევა მიწას მოსტაცებდა. ვინც იმას მაშინ იმისთანა «მეგარა» არხას და აპელაციას დაუწერდა, რომ ქალაღს «ქვა გახეტქვა» და «საქმე» მოვეო, ის მისთვის ჰკვიანიც იყო და ნასწავლიც, და გონიერებით, ჰკუთით, ცოდნით, მის თვალში, არისტოტელს თუ არა, პლატონ ფილოსოფოსს ხომ ედროდა. მეტი ცოდნა, სხვა ნაირი სწავლა მაშინ არავის სჭიროდა, არა ვის გამოადგებოდა...  
—  
ამ-დალოცვილ დროში გამოგვიდგა ჩვენ ხუთი-ექვსიოდე მეცნიერები. მათი სწავლა — თუ ამას სწავლა ჰქვია — იმაში მდგომარეობდა, რომ უეზდის სასწავლებლის პირველი ან მეო-

რე კლასილამ ისინი უეზდის სასამართლოში მწერლათ გადადიოდნენ, და იქ ექვსი ან რვა წლის განმავლობაში ხან მეღანში ბუხებს არჩობდნენ და ხან უფროსის ჩექმას სწმენდნენ. ზოგი ძველი სეკრეტრების მიზაძეთ, ზოგი ძველი არხების კითხვით, გაეჩვენეს აპელაციების წერას, და დაიწყეს გავლენის შეძენა ჩვენ ბნელ საზოგადოებაში, რომლისთვის მათ ღვაწლს, მართალი რომ თქვას კაცმა, არც ერთი იოტის ტოლი სარგებლობა არ მოუტანია, იმიტომ რომ ისინი ერთს სძენდნენ იმას, რასაც მეორეს აკლებდნენ. მაგრამ, კარგათ იყო თუ ავთ, სწერეს ამ კაცებმა აპელაციები მთელი ორმოცი წლის განმავლობაში და შეიძინეს დიდი მეცნიერების სახელი და გავლენა.  
—  
დროთა ვითარებამ ჩვენი ბედი ისე შესაძალა, რომ ჩვენ საზოგადოებას მარტო აპელაციების წერა კი არა, სხვა რაღაც «პროცების» წერაც მოეთხოვა. ეს პროცებები გლეხების და ახალურების გაწყობილებას ებოღდნენ, ხან საზოგადოების მდგომარეობას ხან ბანკს, ხან სწავლას, ხან რასა და ხან და ამ მძიმე და დაბურღულ საგნებზე,





ების რედაქციაში, გ. წერეთლის და ამ. სტამბასთან, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში, აგრეთვე ივანოვის ბიბლიოთეკაში.

ქუთაისის: გ. კალანდარიშვილთან, სასულიერო სასწავლებელში, და ს. მესხისას, სილაზე.

1872 წლის უკანასკნელი სამი ნომერი გამოვა ერთად იანვრის დამდეგს.

« ვ რ ე ბ ა ს » რედაქცია.

# საქართველო

## გუმის და ხვალ

ყოველი გონიერი მეოჯახე, ყოველი ვაჭარი და საზოგადოთ ყოველი მოხელე და მოსაქმე კაცი წლის დამდეგს გაწმენდს ხოლმე თავის ანგარიშს; ის მოიყვანს ცნობაში—თუ რა საქმეები ჰქონდა იმას წასული წლის განმავლობაში, რამდენი შემოსავალი ჰქონდა ამ საქმეებდამ და რამდენი გასავალი. ამ ანგარიშის დახედვის დაგვარად, იმას აღვიღოდ შეუძლია მომავალი წლის შემოსავალ-გასავალი შეიტყოს და შემდეგ ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც უფრო სასარგებლოდ დაურჩა.

ეს კარგი და სასარგებლო ჩვეულება, არათუ კერძო პირებისთვის, მთელი საზოგადოებისთვის და ხალხისთვისაც ძლიერ გამოსადეგია. და მართლაც, ჩვენ ეხებათ, რომ საზოგადოების ცხოვრების მაჩვენებელი, ანუ უკეთესობა, პერიოდული გამოცემები (გაზეთები და ჟურნალები) ყოველ ახალ წლის დამდეგს წარუდგენენ საზოგადოებას ანგარიშს—თუ რომელი ყურადღების ღირსი საქმე გაუკეთებია იმას წასული წლის განმავლობაში, რა ახალი მოვლენა შეუნიშნა იმით საზოგადო ცხოვრებაში და რა გავლენა და შედეგი ჰქონია ამ ახალ მოვლენას.

« დროებას » რომ ეს კითხვები მისცეს თავის თავს და მონდომოს აღნიშნა იმ მოვლენათა, რომელთაზედაც შარშან ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო,—უნდა გაეტყუდეთ, რომ ეს საქმე იმას ძალიან გაუჭირდება.

მართლა, რა მოხდა შარშან ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ისეთი, რომ იმაზე საყოველთაო ყურადღება ყოვილიყო მიქცეული და საზოგადოა წინაშე წარმოებდა?

ლი და საზოგადოა წინაშე წარმოებდა? რა მოხდა ისეთი, რომ ოდესმე ჩვენს ისტორიაში ჩაწერისა და აღნიშვნის ღირსი შეიქმნა? ბევრიც რომ იტყვოთ თავი, ბევრიც რომ მიიღვით თითი შუბლზე და მოინდომოთ ამგვარი მოვლენის მოვლენება, მაინც ვერ მოიფიქრებთ. ჩვენი საზოგადო ცხოვრება ისე დუნეთ, წყნარათ და შეუფოთებელად მიდის, რომ იმის თქმაც ძნელია: მართლა წინ, თუ უკან მიდის ეს ცხოვრება, თუ ერთსა და იმავე ადგილზე დგას? თითქო უსულო ზღვა, მშვიდობიანი ტაროსის ღროს, იმას არაფერი არ აღელვებს, არაფერი არ აწუხებს...

იქნება თქვენ მითხრათ, რომ შარშანდელ გაბაასებას ახალსა და ძველს თაობას შუასაზოგადოა წინაშე წარმოებდა? მართალია, ამ გაბაასებას საზოგადოა და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს გაბაასება და ეს განხეთქილება ახალსა და ძველს თაობას შუასრულებით ახალი მოვლენა არ არის: თვით ცხოვრებაში ეს განხეთქილება დიდი ხანია ნათლათ ჩანს, და ლიტერატურაშიაც არაერთხელ გამოაშკარებულა. იქნება მითხრათ, რომ შარშან თფილისის ბანკის საქმე გადაწყდა და ამ გარემოებას, უკველია, საზოგადოა წინაშე წარმოებდა აქვს? ამაზე მე ვერ ვთხრობ, თუ შემიძლია გიპასუხოთ, რომ თფილისის ბანკის საქმე ვერ კიდევ არ გადაწყვეტილა, რადგან იმის პროექტი ვერ არც კი დამტკიცებულა, და მეორეთ ის, რომ ამ ბანკს «თფილისის გუბერნიის საზოგადოა ბანკი» ჰქვია სახელად. ნამდვილათ საზოგადოა წინაშე წარმოებდა ბანკს მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ჩვენი ორი მომავალი ბანკები—თფილისისა და ქუთაისის—შეერთდებიან და ერთად დაიწყებენ მთელი ქართველი საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქმედებას.

თქვენ შეგიძლიათ სხვა ბევრი ამგვარი საქმეები და მოვლენანი დამისახელოთ და მითხრათ, რომ აი, ამათაც საზოგადოა წინაშე წარმოებდა აქვით; მაგრამ ჩვენ წინათვე შეგიძლია ესთქვათ, რომ იმათ ისეთი საზოგადოა წინაშე წარმოებდა არა აქვით, რომ დღეს, საახალწლოთ, იმათზე ლაპარაკი ღირდეს. თვით უწრიმალეს და უკუძრძოს საქმესაც, რასაკვირველია, მათემატიკურად რომ განსჯათ, ყოველთვის რაიმე საზოგადოა წინაშე წარმოებდა აქვს, რადგან ყოველი განკერძოებული და წერილობითი საქმე, უკველია, რო-

გორმე გადახდილი და გადახორბული საზოგადო ცხოვრებაზე; მაგრამ დღეს ჩვენ იმისთანა საქმისა, ისეთი მოვლენის აღნიშვნა გინდა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება და კავშირი ჰქონდეს ჩვენს საზოგადო ცხოვრებაზე და რომელიც ყოველი ქართველისათვის ყურადღების ღირსი იყოს.

ამისთანა საზოგადოა წინაშე წარმოებდა მოვლენა, ჩვენის აზრით, არის ჩვენს საზოგადოებაში სამშობლო ლიტერატურისა და თავის თავისადმი უფრო მომეტებული სიყვარული და ზრუნვის გამოჩენა, ვიდრემ დღემდე იყო.

ეს ახალი, ყოველად სასიამოვნო და სასურველი მოვლენა მართა შარშან კი არ ამოჩენილა: ამ უკანასკნელ წელიწადებში საზოგადოთ შეატყობდა კაცა, რომ ჩვენ თითქო გვიღვიძეთ იმ ღრმა ძილისაგან, რომელიც წინა დღეებში ჩვენს ცხოვრებასა და იმის გარემოებებს ედევნებოდა თვალყურს. შარშან კი ეს თვალების გამოხედა უფრო ცხადთ დასანახავი შეიქნა, როდესაც ერთმა, მანამდე უცნობმა, მწერალმა გამოსცა ერთი პატარა წიგნი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ პატარა ხალხები, ადრე იქნება თუ გვიან, უნდა გაჰქონდნენ დედა-მამის ზურგზედა. ამ წიგნის გამოცემამ, რომელიც გადაკრით ჩვენს შეგვეხებოდა, ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზე,—და ეს უკანასკნელი გარემოება გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ერთი გვიგა ფიქრს თავის საზოგადო საქმეებზე და თავის არსებობაზე.

ჩვენი ლიტერატურა რომ ამ უკანასკნელ წელიწადებში თან და თან ცხოველდება, ამას ყველა, ვისაც კი იმისთვის თვალ-ყური უდევნებია, აღვიღათ შენიშნავდა, და რომ ამ ლიტერატურის განცხოველებამ უმთავრესი მონაწილეობა თვით ჩვენს საზოგადოებას უნდა მიეწეროს, ესეც ყველასთვის ცხადია.

« დროებას », რომელსაც საზოგადოებასთან დახლოებული ლიტერატურული კავშირი აქვს, შეუძლია სთქვას და დამტკიცოს კიდევაც, რომ შარშან ჩვენს საზოგადოებამ განსაკუთრებული სიცხოველე და მონაწილეობა გამოიჩინა სამშობლო ლიტერატურის საქმეში.

ახალი წლის მოლოცვით ვათავებთ ამ სტატიასა და ვინატრით, რომ ის სასურველი მო-

ლენანი რომელზედაც დღეს ვილაპარაკეთ, თან და თან გაძლიერებულიყოს და თან და თან გავრცელებულიყოს ჩვენს საზოგადოებაში.....

ნ. პ.

ჩვენ ვაგიგონეთ, რომ თფილისის საზოგადო ბანკის შედამხედველ კამიტეტს ბანკის მმართველად თ. ილია ქავჭავაძე ამოურჩევია, რომელიც ამისგან, როგორც იმის, სამახურს სტოვებს. ამასთანავე ამბობენ, რომ ღირეკტორების ამოჩვენა კამიტეტს თვითონ ბანკის მმართველისათვის მოუწდებია და იმას უკვე ამოურჩევია: უფ. დიმიტრი ყაზიბეგი და დაიეთ ყიფიანი. სამწივე ესენი ამ მოკლე ხანში პეტერბურღში აპირებენ წასვლას ერთის მხრით იმისთვის, რომ ბანკის პროექტის დამტკიცება დაჩქარონ და მეორეთ იმისთვის, რომ ბანკის საქმე პრაქტიკულათ შეისწავლონ.

ჩვენ სრულს თანაგრძობას განვაცხადებთ ამ ამოჩვენაზე. პირ-უთნეველად შეგვიძლია ესთქვათ, რომ ილია ქავჭავაძეა დიდი თითქმის არავის არ უშრომია ამ უკანასკნელ დროს თფილისის საზოგადო ბანკისათვის და იმდენი მონაწილეობა ან ბანკის წესდებულების შედგენისათვის არავის არ მიუღია. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მომავალი ბანკის მმართველი კარგათ და სინდისიანათ წაიყვანს ამ საქმეს, რომელიც, როგორც სჩანს, იმას ზედ-მიწევნით შეუსწავლია....

\* \*

ამ კვირის სამშაბათს გამოვიდა თფილისში პირველი ნომერი ახალი რუსული გაზეთის «თფილისის მოამბისა» (Тифлисской Вѣстникъ) რომლის რედაქტორი და გამომცემელი თ. ქ. ბებუთოვია. თითქმის ყოველთვის რომელიმე ახალი პერიოდული გამოცემის პირველი ნომერი სამაგალითო და საუკეთესო ნომერი უნდა იყოს იმისთვის, რომ თანადმე მიიზიდოს მკითხველები. რასაკვირველია, მარტო ერთი პირველი ნომრით აზრის შედგენა რომელსავე გამოცემაზე ძნელია, მაგრამ თუ ვინმემ თფილისის მოამბის პირველი ნომრით შეადგინა იმის მომავალზე აზრი, უნდა გაეტყუდეთ, რომ ეს აზრი ამ გაზეთის სასარგებლოთ არ იქნება, რადგან ეს ნომერი ერთობ უფერული და უშნოა....

\* \*

ლების განხილვა გაძნელებია ევროპის ჩინებული მეცნიერებს, რომლებზე თავის იტყვენ პირველი მოაზრენი, დღეს ჩვენში პროექტებს აწერენ ეს ჩვენი კანცელიარის მელანში გათხრობული ბუხები!

ნეტა თუ იმათგან ვისმე აზრათ მოსვლია თავის გულში ჩახედვა, ან ნეტა სინდისიანათ თუ განუხილავს—ერთი მისხლის ტოლა მიიწვთ თუ განუხილავს—ერთი მისხლის ტოლა მიიწვთ თუ განუხილავს—ერთი მისხლის ტოლა მიიწვთ... საზოგადოებას ჩვენ ბრძინებათ, მეცნიერებათ მივანხივართ, როგორ გამოეტყუდეთ, რომ ჩვენ ეს საქმე, ან რომელიმე საქმე არ გვეცმის, როგორ აღვიართ, რომ ვიღაც ბაღუნებს, ბავშვებს კი ესმისთ ეს საქმე და ჩვენ არა! დაიფუშოს კეთილი საქმე, დაიღუპოს მთელი ქვეყანა, ოღონდ კი ის არაფერ ვაიგოს, რომ ჩვენ ბრძინებთ და მეცნიერებთ არა ერთ!

აი, როგორ უყისრნათ ჩვენ ბრძინებს, სხვათა შორის, ბანკის გამართვა.

აი ენახეთ, თუ როგორ აიღეს იმათ ეს ენახათ აღების შედეგი როგორია. ეს წელიწადი იბუტეს იმათ კუთხეკუთხით. ორთაოლათ, თითქო საქმეს არიგებულა, ენის მიტან-მოტანა, მზადება, უება—ბევრი იყო, მაგრამ საქმე მაინც არ გებოდა. დღეს, როგორც იქნა, მორჩა ცხოვრებას, გადარჩა ჩვენი დედოფალი,

და, მისი პირშეო ვაჟის მხახვი, მე აწერ მის სიმშვენიერეს, მის ავებულებას, ძალას და სიღიღეს.

აი, სიტყვა სიტყვით, რა პროექტი მაგივიდა იმდღეს ქუთაისილამ. მისი გამოგზავნეული მწერს, რომ ერთ «მეცნიერთან» ვაგონში ერთთ ვიჯექეთ, და იმას ქუთაისის სტანციაზე ვაგონში ქალაღდები დარჩა; რადგანაც მისი სახელი და სადგომი არ ვიცით—«დროებაში» გამოაცხადე. ვისია ეს ქალაღდები და ვინც მოიკითხოს, გაუგზავნეო. როცა მე ეს ქალაღდები გადავჩიე, იქნება შიგ დამწერის სახელი და სადგომი ჩაწერილი იყო თქო, შიგ რუსულათ დამწერილი პროექტი დამხედა, და მე მისი დაბეჭდვა გარჩე, მისი დამწერი უფრო აღვიღათ იცნობს თავის დაკარგულ საუნჯეს და უფრო მალე მოიკითხავს იმას რედაქციისაგან.

აი ეს პროექტი, რომლისგანც ჩვენ სიტყვა სიტყვით გვბეჭდეთ პირველ ორ ფურცელს; შიგ ჩვენ წერტილების და შეცდომითნახარი ასოების მეტი არა გავგისწორებია რა, და არცარა ჩაგვამატებია.

### ПРОЕКТЪ УСТАВА КУТАЙСКАГО ДВОРЯНСКАГО БАНКА

#### ГЛАВА I ОБЩІЯ ОСНОВАНІЯ

§ 1. Цѣль основанія Кутаискаго дворянскаго банка состоитъ въ пріятномъ препровожденіи времени благороднымъ сословіемъ

### Кутаисской губерніи.

*Примѣчаніе а):* изблнченныя въ плузерствѣ лишаются права закладывать банкъ.

*Примѣчаніе б):* лица благородныхъ сословій въ участію въ банкѣ допускаются не иначе, какъ подъ притворствіемъ и за гарантію тую вѣрныхъ кошележовъ.

§ 2. Банкъ закладывается въ г. Кутаисѣ, съ свободнымъ капиталомъ, остающимся въ наличности послѣ сведенія счетовъ за прѣжніе кутежи.

*Примѣчаніе:* Буде основной капиталъ сей, по свѣдѣніи счетовъ, окажется не превышающимъ 10 руб. сер., основаніе банка откладывается до болѣе благоприятнаго времени.

§ 3. Къ участію въ банкѣ допускаются пайщики, наличная ставка которыхъ именуется впродъ акціею. Долгъ партнера (пайщика) банку, невыплаченный имъ наличными деньгами, называется облигаціею.

§ 4. Дѣлами банка управляетъ банкометь, которому предоставляется титулъ директора банка.

§ 5. Операціи банка заключаются въ пріемѣ ставокъ и вкладовъ, въ выдачѣ дивидендовъ и выигршей, въ учетѣ кредитныхъ бумагъ и въ веденіи текущихъ счетовъ.

*Примѣчаніе:* Съ согласія директора банка допускаются также и выдача ссудъ подъ залогъ часовъ, колецъ, экипажей и даже недвижимыхъ имуществъ.

§ 6. Учетъ векселей за двумя подписями лицъ извѣстныхъ директору за исправныхъ кутуль допускаются лишь съ его согласія; но кредитные билеты могутъ быть учтены ваемы во всякое время, безъ всякаго ограниченія.

§ 7. Текущіе счета партнеровъ ведутся лично самимъ банкометомъ (директоръ тожь).

§ 8. Трансферты и транспорты въ текущихъ счетахъ допускаются съ кущемъ, либо безъ онаго.

§ 9. Банкъ за переводъ денегъ изъ однихъ рукъ въ другія никакой особой коммисіи не взымываетъ.

§ 10. Переводы денегъ допускаются въ формѣ прямыхъ и первыхъ мандатовъ, либо въ формѣ угловъ, на п, переи, абцуга, шіе, мирандолей и пр. Подробныя условія этихъ переводовъ излагаются ниже, въ §§ 78—95.

11. Операціи банка преобразуются на словѣ «ва банкъ», буде...

გვეყოფა ესეც. უკველია, რომ იმ ბრძინს, რომლისთვისაც ამ პროექტის დაწერა მიუწდებიათ, ბანკზე მარტო ის გავება ჰქონია, როგორც მოიპოვებდა ზოგიერთ ჩვენს კლუბებში. მისი აზრით «ბანკი» და «ვა ბანკი» ერთი და იგივე საგანი ყოფილა, და უკველია, რომ მის წარსულს, მის სწავლას და განიერებას სხვის რაიმეს გავება არ შეეძლებოდა. თუ ღმერთმა ჰქნა და ამ პროექტის დამწერმა თაფისი აზრით ბანკი გამართა, ჩვენი საზოგადოება დიდ სარგებლობას იმაში მიიწვთ, რომ შემდეგისთვის ხერიანი წესდება იქნება შტაისის თამაზობისთვის, და უწინდელურათ უთავბოლოთ აღარ წავაგებს ამ თამაშში: შემდეგში წავება დამჯდარი, წესიერი და კანონიერი იქნება.

ესლა მკითხველო, მომილოცავს შენთვის ახალი წელიწადი და ახალი ბანკის პროექტი.  
ნ. სკანდელი





ჩვენ გაიგონეთ, რომ ტყუილის საქმე თითქმის სრულიად გათავებულა, იმ მხრით, რომ პარიჟში კაპიტალისტების კამპანია შემდგარა, რომელიც ამ მადანს ყიდულობს და რკინის გზის გამართვას აპირებს, მისგან ქვა-ნახშირის გამოასხიდედლოთ. ამ კამპანიას კაპიტალათ ათ მილიონ ფრანკადი ექნება, და წრეებს მისში ის კიდევ შეუდგება გზის გამოკვლევას და მუშაობას.

რალა თქმა უნდა, რომ ჩვენი მხრისთვის ეს მეტათ სასარგებლო საქმე იქნება, მით უფრო, რომ მას უსათუოთ ბევრი სხვა მაგნარიფე საქმეების გამართვა მოჰყვება. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს საქმე მალე სისრულეში მოვიდეს, და მით ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენ ხალხს გამოადგეს.

არ ვიცით, მართალია თუ არა, მაგრამ ჩვენ იმ ამბავსაც ყური მოკარით, ვითომ ზოგიერთი ტყუილის გამოიდევლები ხელაღრე რალაც დაბრკოლებას უტყვენ უფროკლადეს და საბოლოო მყიდველებს. ეს ამბავი, უტყველია, მოგონილი უნდა იყოს, თორემ იმდენათ როგორ შესცდებიან გამოკიდევლები, რომ თავიანთი საკუთარი სარგებლობა და მდგომარეობა დაივიწყონ.

\* \*

როგორც ანის, ფოთის შარტანს ხქმე გდაწვევით: «ს. შუტან. უწვევებს» მქ-332-ში სწერენ, რომ ამ საქმის თაობაზე ორ შარტანტი უთავილს წარდგენილია: ერთი ინჟინრების დეპარტამენტისაგან, რომლის მხარე იმისაგან მანსტრის კლარა და მორტე უფ. შარტანსაგან, რომლის დამტკიცებას გზის სამინისტრო სცდილობდა. უმადლეს მთავრობას ამ ორ შარტანტი შარტანსთვის მიუგია უმინისტროსა, და თეიანდ შარტანს აქუნა უფ. ზოგოგანგანისათვის მიუწდია ორ მილიონად და ხარვათის მხარეად, იმ შარტანთ, რომ შარტანს უფილს განსაკლამაში სრულიად მხათ უნდა იყოს.

\* \*

დკკმის 7-ის, 14 და 21-ის იყო თეილასში გჭრობა ბქონ, თფილისის გუბერნიისა და დალესტის ნეთის ჭებას გუბერნიე, მომეტებული სწილი ამ ჭების უფ. ი. მიწსოკვა და გუბნანსმა იეილეს.

\* \*

გახეთს «გეგასს» გგუგინი, რომ ამ წლის მარტადამ თეილისში კრია ასალი გჭრისის თუ გაჭეთის გამოკვა დაწვევა, სხვადა «საქართველ-მერკთის კბრისის უწვევისა». ეს გამოკვა კრას სასულელო წოდების შირს უფისინია. ჩვენ არ ვიცით, რა ენაზე იქნება ეს გამოკვა.

«დროების» კორრესპონდენცია

სამგვრდლო, ნოკმბის დაწვევს \*).

აგრდენ, და შეჩავალი-მურმავი შემოდგომა და შორადი საღისე-დკისის სიძვირე და სხარტის. სიძვირე-მეგრელებიან-გან სხარტის წაბევა ანგდისის-თეკსეპური გლუბები და აუდირიანები-იქაური პასკისისა ჭაშინი-ამდრეს გოსეპი-მითი ჯე და გარტი შედეგის ქაბავა-შეხმისის სიმდერა-მტკმისტის სიმდერა.

ამ ბოლოს ხანებში სამეგრელოსი არა იმისრა, სულ წინა წლების არ იყოს და, მაშინდელით მიხუმებულაბაში ისევ მე მერგო პირველი წამოწყება, რომ რამოდენიმე მძიმე და ახირებულზე თვეშეუდებელი კალამი გამოიწვეო და ორიოდ რამე კარგი, თუ ავი დაწვერინო ამ დაუდგომელი ზღვის მეზობელზე და თვითონაც დაუტკობელს მხარეზე, როგორც უმხიან. მაგრამ კი ვერ ამართლებენ ამ დაუტკობლობას ამისთანა უბაბურობით ჩვენი «დროების» საერთო საამბოში: თუნდ სულიც არ ედგას და საჭირო და სათქმელი არა ჰქონდესრა. ეს გამოწყვეტილობა ჩვენის ღონისა და ქირის გასანდობელს გაწვთში ძალიან გულის და-

საწყვეტია; ნამეტურ ახლა, როდესაც შორობა აღარ გეტქმის, თუმცა სურამის ქედი თავის მტერობას ასე ადვილად არ უპირობს მოშლას და ერთი პატარა ერი ა მ-ე რად და ი-მ რად რომ როდესაც შუა გაუგლეჯია, ისე ემძიმება ახლა მათი ისევ გაერთება, რომ შეუპოვრად თავი მაღლა წამოუშვირა, ყოველის-შემძლებელ ცეცხლის და წყლის ერთად შეთქმულ ძალასაც შებშია და რაც უნდა მრისხანედ ახენდეს მისი აღმართის შემდგარი და ფიცხელი კვილე-წივილით, სულ ცას სტერი მიტეს, ის ფაფრასაც არ იდრეკს ამ მეცხრამეტე საუკუნის სასიქადულო მოგონების თაყენის საცემად და გზის დასათობადა!.....

სამეგრელოს ბეერი სათქმელი ურჩება უთქმელად, მაგრამ ამის ამხანაგებიც ისე ბეერი ჰყავს, რომ ვერ გავამტყუნებთ....

ასეთი უმხრო და მუშაობის მამალა ამიღები, როგორც წოდებულს იყო და არის, არ მოსწრებით აქაურებს; ჯერ გაზაფხულზე გვალეა ჩააციდეთ და დასათესად მიწა აღარ დაანებათ, რომელიც ჩვენებურს საბურქალო მუშის იარაღს ისე სასაცილოდ იგდებდა, რომ სიბივით გახრკილი, ერთს ფინჩასაც არ უგდებდა, თუნდ ისე მოწიფულადაც დასძვრებოდა, რომ თავისი წალესილი ცხერიც განზე მოექცია. აგრ-როდისმე, რომ შერტხვა ჩვენს მწყალობელ შებღვას ეს უმეულო გაყინება და კიდევაც შეებრალა თავისი ძველადან ნამაგვი პატარა, ლამაზი, აქამდი სქელი ტყით მოზარბლილი და მოთუნებული ნაპირი და გამოუგზავნა ძუნწი ღრუბლებით წვიმა, როგორც იყო ფსევი მოიკიდა ჭირახულის თესლმა. მაგრამ ეს სისველე ძლივს ეყო გამარგლამდისაც, თერა გამეორებაზე ასეთი პაპანება იყო, რომ საცოდავი სიმინდი, რომელიც მთელი ამ მხრის მთავარი სარჩოა და მომიჯნავე ადგილებსაც ალადებს, სულ გატუსული იყო სიციხისა-გან, ქვეშ თიხის სიროლოტისა-გან დაკოდილი და მეტის შეწუხებით ყურები წევით აფხვია, თითქო იმისთვის, როდის გავიგონოთ გამოცოცხლებელი წვიმის შიში-ნო? ამდროს გასანდობელი წვიმის მაგიერად, ამოგლიჯინდა ყოველისფრის გამეშიკბელი ზენა-ქარი,—ეს ჩვენი ქვეყნის ჭირი და სულ ხელი მოუთავა ამ უმიხოდაც გამშარალსა და მტლე სიმინდს: ზოგს გაშლილ ალაგას პირ-და-პირ დეტაკა და ისე დახვია ერთმანეთზე, რომ ბეერი ქალების კავებისათვისაც სახარბილო იყო; ზოგი სულ დაბურდა ერთმანეთში, ან დაამტვრია, თუ წაქცია, თუ ფურცლები დააწიწენა და ამ ცოფიანის თამაშით უზოგავად მოაჯირგალა და სადაც კი ყანებს მთა, ბეგი, ტყე, ან სხვა რამე უფარებდა, თუმცა ასე არ დაუქმევი, მაგრამ, რადგან დიდ ხანს გაწია—თითქმის თვე, ცოტა ხან-და-ხან ჩადგომით—ერთად მინც მშრალ ჰაერში იმ ზომის სიმშრალე დაყენა, რომ კაცსა და სხვაც სულ დგმულებსაც სულის ღება მეტად გაუძნელა, თერა ყანები, რალა თქმა უნდა, სულ შეხეულად ააქონა;—სიმინდიც, რომლის ოდენს გვალვას ვერა ნამუშევერი ჩვენში ვერ მოი-

ქირებს და ოდიშის საპატია მოსავალი—ლომიც მთლად ერთი-ერთმანეთს შემოაწყურა და მარცლებით დამძიმებული თე-თავიც კარგად შეუმჩატა. შემოდგომამდის მოატანა თუ-არა ამ დარბელთა ყანებმა, დაუშვა უმადურმა წვიმამ და მისს გადადებს აღარა ეშველა—რა და შემოსატანად აღარ დაანებათ ჭირახულის გულ-შემ-აყრილ მუშა-კაცებს, რომლებიც გულ-ხელ-დაკრებილად შეჭურბდენენ ცას და თავის ნაქირ-ნახულევ მოსავალს, ყანებში რომ ღებოდა ისევ თავის ძირზე; ზოგან კიდევაც ამოვიდა ზედ ტაროხედ სიმინდი, როგორც იქნა აგრ-მონაქცევე გადილო ეს უფროა დვარი და მისცა დრო მოწვეას, რომ ამოდენის ვი-უმეღებლის გამოგლილი, დანაყილი ტარო-ქაჩალი და მეტად ფუქსავატი მთელის წლის საიმედო ნაჯავის გადანარჩენი მინც მოეკრიბათ, რომელმაც მეპატრონებს ასე უცალიერათ გულიც და ჭურჭლებიც; ახლა კი ამ ხანებში წინში ამოყოლილივით დადგა მშვენიერი ტაროხი, მაგრამ ევეც ზენა-ქარიანი, რომლითაც გვალვამ წინაზე ნავალავ მიწას იმ სიძალუმედ მოუქირა, რომ წყაროები ბეერი სულ დააშრო, ბეერს კარგად დასაჩენად დააკლებია, თითქმის მდინარეცაც დაუწერილა ტანი და ამასთან პურის თესლსაც დაუქცია მიწის გული და ჰაერში სქელი ბური და კვამლი აუშვა ხშირი ცეცხლის გაჩენისაგან ტყიან მივებსა და ბარებში.—

ყურ ძენი სამეგრელოში (იზაბელლას გარდა, რომელიც აქ მოაშენეს ოდესის სახელით, თუმც მისს სუნს ყურძნად და ღვინოდაც ვერ შეურთდენ და ვერც მოაცილეს) ხომ რამდენი ხანა Oidium ისა-გან თითქმის გამწყვარა უფრო საუკეთესო გვარები; მაგრამ ამ წელიწადს ჯერ ქარმა დარეკა და მასთან გვალვამ ძალიან შეწია ვაზის სენს ყურძნის გაფუქებაში, რომელიც ამ ორივემ ერთად მოსაქმე მტრებმა იმ ზომამდის მიიყვანეს, რომ რაც ყურძნად ცოტა წაუმხდარი დარჩათ, იმას ღვინოში ჩაყოლეს წასახდენი ჭირის თელები და ამითი არა თუ აქ, ზემოთ უფრო მოსავლიან ადგილებშიაც ისე მოირყენა ღვინოები, რომ სულ საბრებით მწარე დადგა და ჭურვიდამ ამოღება კიდევ უფრო ჰსწინს—იმ წამვე შავს ჩაიცვამს, როგორც ჰაერს დაინახავს, თუნდ-რომ იგლოვდეს: ჭურვიდამ რომ არ მოუსვენა დაუთხოვარმა სნებამ.

ა ბ რ ე უ მ ი ს მოსავალმა შარშანაც და წლეულსაც გამობრუნების ნუგეში მისკით მომყენებს და საწინაოდ ისე აღარ არიან შიშით წელმოწყვეტილი გატტინისაგან, როგორც წინა წლებში, როდესაც ერთიანად იფუქებოდა აქაური ჭია, და დაკოდათილამ მოტანილი ყაჭის თესლი, თუმცა გვარიანად მოდიოდა ორჯერ და სამჯერაც წელიწადში მაგრამ იმას ხალხი აუჩივლდა: ასნეულებას დაგვრეეს შუა ზაფხულში ასუნებული ყაჭო, ბეოლებს დაგვხმობს სიციხეში გადაბეღულო. ქალებს მიიკლავს კვირიკა-მარიამობისთვის აღწში ჯაფაო და სხვა საქმისგან გადაყოლიებსო, მერე თვითონ აბრეშუმიც კანაფით ქერქები და უღონო ძვით აბრეშუმს არა ჰგავსო და სხ. ამგვარების მიხეხებით, ახლა იმას თითქმის აღარ-ეინ იჯდენს.

ბ ა მ ბ ი ს მუშაობა გაიფუხისთანავე ყანის სიფართოდამ ბოსტნის სიწირეში ჩამვრა და ბამბეულის ხელობის შესამჩნეველმა გაუმჯობესობამაც ფსევი მიასო. არც რამე სელის მუშაობის დაწინაურებაზე ითქმის: როგორც წინედ, ისე თუ მარილზე გაცლიან მისს თესლს, თუ არა სხე მისი გამოყენება, ან ნაძვდის არაფერი არა ჰსჩანს, რაც მამა-პაპისეული მოუხეხებელი.

ცხრილივით თხელი ტილოები და ისიც ძალიან იშვიათად არ კეთდება ხოლმე მარტო საწყალი მიცალბეულების შესასუდრავად და მისი დაფუქული მარცხლის თაფლიან მურგე-წინა წლების კორრესპონდენტებით გაცნობილი «დროებაში» კიდევ უფრო ძვირად.

ს ი ლ ი ც გვალვამ მოინელა რაოდენიმეს გარდა და ბოსტნეული, თუ სათავისთავო სუნნელი და კიტრი და ნესვი, თუ არა აქ მინც არ იხსენება, რადგან წერიმალნი ბოსტნის მუშაობა მეგრელს მალე მოუდუნებს ხელს, რომელიც სხვაგან და ვაჭრობის ფათურში უფრო მარჯვე და გერგილიანია, ვინემ თავის ოჯახში და თავის მინდვრებზე, სადაც ის ამ ღონიერს და მადლიან ნიადგას ხანტად დასჩერებია და თუ ხელი გაინძრია იმისთვის რომ ბალახის ჭინი უქირებს, ბლომად რომ ამოდის სახენელით და ფარცხით დაუმუშავებელს ყანაში და ისე გახელბეულად სჭრის, რომ არც ნამუშევერს ზოგავს დასაკოდად სიციხეში და არც მიწას გამოსალევად, ბალახი უნდა გაესწმინდო და გაეწყრო ამ სიციხეშიო, თერა გაისად ყანას სულ წაიღებსო.»

ამ ნაკლებობისაგან საფიქრებელია, რომ ჭირახულს დიდი ფასი უნდა ედგას ახლა აქ; მაგრამ არაფერი შემწუხებელი სიძვირე არ არის ამჟამად, როგორც საგულისხმოა, იმიტომ რომ ძველი მონაწევი სარჩო ჰპირდებოთ უმეტეს ნაწილ ხალხს გამოტანას ამ წელიწადში, რადგან შარშან ძალიან უხვი სიმინდის მოსავალი იყო. ქილა (ორი ბათმანი) სიმინდი ექვსი შაურიდამ ორ აბ. ზამდის იყიდება და როგორც ამბობენ, რომ სიმინდის სპირტის ქარხნის მეიჯარეები არ აძვირებდენ, ამაზე უიფესადაც იქმნებოდაო.

ღვინო კი, რასაკვირველია, ძვირია—საპალნე (24 ბათმანი) 15-30-35 მანეთად და მეტადაც. მაგრამ ვასაკვირია, რომ წლეულის შემოდგომის გადამეტებულ ქარწილების, ტირილების და ალაგების სიხშირეს ამ სიძვირის სრულიად არა ეტყობათრა; აზნაურობაც და გლეხობაც ამ უმოსავლო შემოდგომას დიდის ამბით შეეგებენ და იმისთანა სოფელს ვერ ნახავს კაცი, რომ ღლეში და ღამეში ორგან-სამგან მინც ან მხიარული მაყრულით. ან დამაფიქრებელი ზარით არ უგალობდენ ასე მადლისი შემოდგომის ბარაქიანობას!....

მეტრი-კორრესპონდენცია (გაქველას შექმდე № ში).

მე. გზაგრობა ფოთი-თეილისის ტანის გზათ

10 დეკემბრისას თბილისიდან სალამოთი გამოემგზავრდი რკინის გზით სადაც ჩავბარე ბარგი, და ნივთები 3 1/2 უფთი და მომცეს კვიტანცია ხაშურამდინ.

ჩამოიყვანა ხაშურში, და მაშინვე კანტორას მივმართე, რომ მოეცათ ჩემი მფრავა. იქ მითხრეს, რომ მომეცაღნა, მანამდინ იქიდან გეესტუმრებინათ წამავალი ვაგონები და რაც აქეური ბარგია აქვე დასტოვებნო და მიიღებთო. მკირედ განმაელობაში ვაგონები წაივია, მაშინვე ხელ-მეორედ მოვიკითხე კანტორაში; მითხრეს აქ არ დაუტოვებთ, შეცდომით თან წაუღიათო და რადგანაც სურამს იქით ბეკათუბნამდინ ფურგუნებით გადააქეთ ნივთებიო, იქიდან ერთი საათის განმავლობის უკან დაბრუნდებო და მოეო. რა გამეწყობოდა, უნდა მამეცაღნა, იქიდან მობრუნდა ვაგონები; მოვიკითხე, არ იყო. მითხრეს, ეხლავ ცელეგრამით ვაცნობებთ ბეკათუბანში და იქიდან დაბრუნებნო; მხოლოთ ხვალ საღამომდინ უნდა მოიცადათო. რა ღონისძიება მქონდა, ჩემდასაუბედულოთ, არაივია ვიცნობ-

\* \*)





# «დ რ ე ბ ა»

საფრანგეთი

შარჟიდან

(«დრეობის» კორესპონდენტი)

ყოველ დროს ყოფილიან ისტორიაში ისეთ-ნი პირნი, რომელნიც თავის მოქმედებით ავსებდნენ ხალხის ცხოვრებას; ხშირათ, მათ უმნიშვნელო სიტუაცებზე, უმცირეს საქმეზედ საზოგადოებას ათასწარი ბაასი და სჯაჰქონია. ბევრჯერ ღირსეულნი და პატივცემულნი ჰყოფილან ესრეთი წარმომადგენელნი თავის დროისა, მაგრამ უმეტესად კი უღირსნი და გაიძვირან.

ჩვენს დროში, კაცის აღმალეობისთვის საზოგადოებაში მიუტკივრებელ პირობათ არც პატიოსნების, არც უანგარობისა, არც სიმტკიცისა და ხშირად არც გონიერების ჰქონება არ ითვლება. ძალიან თამამად შევიძლიანთ, წინააღმდეგი თვისებებითაც შესანიშნავი და გამოჩენილი კაცი შევიწქეთ, თუ კი თქვენ «ცხოვრების ცოდნას» რომ ეტყვიან — ის გაქვთ თქვენ უნდა იცოდეთ საზოგადოების მაჯის მდგომარეობა, მისი ძლიერი და სუსტი ძარღვი და მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ რაც ომში არ შეხვდეთ, გამარჯვებული გამოხვალთ...

თუმცა სამწუხარო კემზარიტება ეს მოვლენა, მაგრამ ნამდვილია კი მართლა, თუ არ ამ შემო მოყვანილი მოსახრები თ, რითი უნდა ახსნათ, რომ ამ დიდებულ, მოწინავე ხალხს უდგას თავში ისეთი კაცი, როგორც უფ. ტერი, რომლის ტენი ენაშია წასრული?

სასაკლოლა, რომ თან გულ საკლავიც არ იყოს, რომ ერთდროს «დანტონის პარიკს» ეხლა ტერის პარაჟი დაერქვა! დანტონი! ეს დევი, ეს ძლიერი და შეუპოვარი თავისუფლებისათვის მებრძოლე, ნიადაგ ხალხის მეგობარი, — როგორს დიდებულს და მრისხანე სურათს წარმოგიდგენს ერთი მხოლოდ სახელის მოგონება ამ ლომ-კაცისა?!. მეორეა მხრით: პატარა ტერი! მუდამი სიფლიდისა, მცირე და პიროვნულის ინტერესში გართული, ნამდვილი ბუჩუქსა ტიპი, როგორ არ აღუძრავს გარემო მაყურებელსაც ნაღველს, და ღიმილს არ მოკვრის, როცა ის შეადარებს უკანასკნელს პირველთან! «ქამთა ვითარების» მოწყალეებით დღეს ტერი თავის ქვეყნის წარმომადგენელია!

თქვენ იცით, რომ საფრანგეთის ცხოვრება აგერ, თითქმის, ერთი საუკუნეა, რაც ვიწრო ნაციონალური წრიდან გამოვიდა; ყოველს მის მოქმედებას უნივერსალური (მსოფლიო) ხასიათი აქვს. საფრანგეთის სწავლულნი, პოეტები, საზოგადო მომქმედნი პირნი ისე აღტაცებული მშრომელნი არიან სხვა ქვეყნებისთვის, როგორც თავიანთისთვის. ერთხელ დაპყრობილი კემზარიტება ფრანცუზისგან, შემდეგ მთელი კაცობრიობის საუნჯეთ ხდება. ასეთი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის ცხოვრებას, პირველი რევოლუციიდან დაწყებული ჩვენს დრომდის.

ეს არის იმის მიზეზი, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტზედ მთელი ევროპის ყურადღება მიქცეულია ეხლა; ეს გარემოება ხდის ტერის ჩვენი დროის გმირათ! რომ ცოცხლებს არ შეეხებოდეს, ძალიან მსურს ჩვენებურნი ანდაზის მოგონება: «ბედურები დაიხორცენ...» იმის მაგერათ, როგორც უმრავლესი კორესპონდენტები ნებულობენ წერას: «დღეს ტერი არნიმთან მიერთვეს სადილსო», «ხელო კალიმონთან», «ზეგ პრეზიდენტის სასახლეში დიპლომატიური სადილიაო», ან და: «ინგლისის ელჩის

ლოდ განსხვავება ეს იყო, რომ ის ტიროდა და ჩიოდა; მე კი მოთმინებით დაღამებას ველოდი.

მეორეს დღეს მიველით ერთათ შესატყობლოთ, თუ ტელეგრაფის პასუხი იქნება მოსვლოდეთ რა? რა შესივლა ურია და შესტირა კანტორაში, — უთხრეს ნუ გენაღვლება თუ დაიკარგება გირვანქაზე მანეთს მიიღებთო. ამან უარესი ტირილი შექმნა, ძალიან დიდი იმედი მამცესო გირვანქაში 5 მანეთი ბაჟი მიმიცია ფოთის დამოქანშია, ისეთი საქონელიაო. მეც ჩემი ვიჩივლე საზოგადოთ შინ მიმქონდა ნიეთები მეოქი, იარმუკაშიც ვერ ვიყიდი გირვანქას მანეთათ იმისთანა ნიეთებსა მეოქი.

შინ მომელოდნენ საზოგადოთ სამე მეორაშით და მიველ ცარიელი, რადგან აღარა მქონდა მეტი ღონე ბარგის ლოდინისა ხაშურში, როცა დღიდან დღეზე მატყვილებდნენ.

